



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლასარეიშვილი ლევო ნესტორის ძე

ლასარეიშვილი ლევო ნესტორის ძე (30. V. 1927, სოფ. ქოლობანი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 11. VI. 2004, თბილისი), აგრონომი. საქართვე. სოფლის მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1994), სოფლის მეურნ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1991), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990), საქართვე. დამს. აგრონომი (1971). 1949 დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის სუბტროპ. მეურნ. ფაკ-ტი. 1950–53 იყო გაგრის, ჩაქვისა და ხეთის მეურნეობების, 1957–58 – საქართვე. სოფლის მეურნ. სამინისტროს მეხილეობის სამმართველოს მთ. აგრონომი, 1958–61 – საქართვე. სოფლის მეურნ. მეცნ. აკადემიის მრავალწლოვანი კულტურების განყ-ბის სწავლული მდივანი, 1961–2004 – მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.- კვლ. ინ-ტის კაკლოვანი და მშრალი სუბტროპ. კულტურების განყ-ბის უფროსი. ლ-მა შეისწავლა მარწყვის, კაკლის, თხილისა და ბრონეულის კულტურათა ბიოლ. და სამეურნეო თავისებურებანი საქართვე. სხვადასხვა რეგიონში, დაამუშავა კოლხეთის დამშრალ მინებზე თხილის გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკის საკითხები. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიების. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მარწყვის კულტურა საქართველოში, თბ., 1973; ბრონეულის კულტურა, თბ., 1986.
